ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის

განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის უზრუნველყოფის კომისია

სხდომის ოქმი №3

ზუგდიდი 13.05. 2021წელი

2021 წლის 13 მაისს ჩატარდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის უზრუნველყოფის (2021 წლის 02.03 ბრძ.ბ24.24210611) კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ:

- **კონსტანტინე კაკავა** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე-კომისიის თავმჯდომარე

- **ზამირა ღადუა** –ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოადგილე-კომისიის თავმჯომარის მოადგილე.

კომისიის წევრები:

- **კობა ჯიქია**- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი.

- **გიგლა სულამანიძე**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი.
- **ზაზა გაბისონია**- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი.

- **ლექსო თოდუა-** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი.

- **ნანი მიქენაია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოადგილე - კომისიის წევრი.

- **ეკატერინე კიფაია** -ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და გენდერული თანასწორობის კომისიის თავმჯდომარე- კომისიის წევრი.

- **ნატალია პაპასკირი-** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი - კომისიის წევრი.

- **თამუნა ჯიქია** -ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს" ფრაქციის თავჯდომარე - კომისიის წევრი.

- **ფრიდონ თოდუა** -ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსის მოადგილე - კომისიის წევრი.

- **მონიკა შამათავა** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი.

- **დავით შამათავა** - სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის განვითარების სასახლის დირექტორი - კომისიის წევრი.

კომისიის სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა კომისიის ხუთი წევრი.

- **მაია ჩიტაია** --ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოადგილე-კომისიის წევრი.
- **ხათუნა დარასელია**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-განათლების, ძეგლთა დაცვის,კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის კულტურის განყოფილების უფროსი- კომისიის წევრი.
- **ოთარ ქადარია**--ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე- კომისიის წევრი.

- **ია ეხვაია-** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-სოციალურის და ჯანდაცვის სამსახურის ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი- კომისიის წევრი.
- **ირუზა კაკავა-** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი- კომისიის წევრი.
- **ბათლომე შელია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ევროპული საქართველოს" ფრაქციის თავმჯდომარე- კომისიის წევრი.

ბელა ხუბუა- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის II კატეგორიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი სპეციალისტი- კომისიის მდივანი.

სხდომის თავმჯდომარე : კონსტანტინე კაკავა

დღის წესრიგი:

1.ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია მაცხოვრისკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, კ.გამსახურდიას ქ. N100-ში მცხოვრები ელენე ქორთუას განცხადება. ელენე ქორთუა არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სახვითი და გამოყენებითი ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი, ამჟამად ერასმუსის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სწავლობს კოპენჰაგენის უნივერსიტეტის, პედაგოგიური განათლების საერთაშორისო პროგრამაზე. ელენე ითხოვს ფინანსურ ხელშეწყობას.

2.ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, კოსტავას ქ.N98-ში მცხოვრები, გერმანიის ქალაქ მარბურგის ფილიპეს უნივერსიტეტის თავისუფალი მეცნიერებების ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტის ლუკა კიტიას განცხადება. ლუკა ითხოვს ფინანსურ ხელშეწყობას.

3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია ენგურის ადმინისტრაციულ ერთეულში, გორგასლის I შესახვევში N8 -ში მცხოვრები გიორგი ხვიჩიას განცხადება. გიორგი უკვე მე-2 წელია სწავლობს უნგრეთში, დებრეჩენის უნივერსიტეტში მაგისტრატურაზე. ამჟამად მუშაობს სამაგისტრო ნაშრომზე. გიორგი ითხოვს ფინანსურ ხელშეწყობას.

4.ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია მაცხოვრისკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბარათაშვილის ქ. N27-ში მცხოვრები სანდრო მიქენაიას განცხადება. სანდრო სწავლობს თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში დიზაინის ფაკულტეტზე, სამკაულის და ლითონის დეკორატიულ პლასტიკაზე. პროფესიის გასავითარებლად სანდროს ესაჭიროება შესაბამისი ტექნიკური უზრუნველყოფა, ეკრანი და უეკარნო გრაფიკული სახატავი პლანშეტი.

5.ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია მაცხოვრისკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, რუსთაველის ქ.N 76-ში მცხოვრები ხატია ხვინგიას განცხადება. ხატია სწავლობს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მეორე კურსზე. 2021 წლის შემოდგომის სემესტრში ისწავლის ამერიკის შეერთებულ შტატებში. ხატია ითხოვს მგზავრობის უზრუნველყოფას.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა

მოისმინეს:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსმა გიგლა სულამანიძემ კომისიას გააცნო შემოსული განცხადებები.

აზრი გამოთქვა:

კონსტანტინე კაკავა- ძალიან მიხარია და მეამაყება, რომ ეს პროგრამა აქვს ჩვენს მუნიციპალიტეტს. ჩვენი ქალაქის ბევრი განათლებული ახალგაზრდა სწავლობს უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში და ამ მცირედი ხელშეწყობით მათ ვაგრძნობინებთ ჩვენი ქალაქის მხარდაჭერას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

ზამირა ღადუა-ეს პროგრამა მორგებულია ნიჭიერ ახალგაზრდებზე და მათ განვითარებაზე. ჩვენი განმცხადებლების ონლაინ ჩართვით უფრო მეტად მოგვაწოდეს ინფორმაცია მათ საქმიანობაზე, რაც დადებითად განმაწყო თითოეული მათგანისადმი. დღევანდელ კომისიაზე გვყავს კიდევ ერთი განსაკუთრებით ნიჭიერი ახალგაზრდა მხატვარ- დიზაინერი, რომლის ნამუშევრები ორიგანალური და განსხვავებულია. მე მხარს ვუჭერ მათ დაფინანსებას.

გიგლა სულამანიძე- განცხადებები, რომლებიც წარმოდგენილია დღევანდელ კომისიაზე სრულყოფილია. ყველა ახალგაზრდა ნიჭიერია და წარმატებული.

ნატალია პაპასკირი- ყველა განცხადებას გავეცანი. მხარს ვუჭერ ახალგაზრდების განვითარებისთვის ხელშეწყობას მათი მომავალი წარმატებისთვის. რაც შეეხება ხატია ხვინგიას, ინვოისის წარმოდგენის შემდეგ ბილეთის ღირებულების შესაბამისად დაფინასდეს არა უმეტეს 2000 ლარისა, ხოლო ნაკლები ფასის წარმოდგენისას იმ რაოდენობის თანხით, რაც ღირს ბილეთი.

დაადგინეს:

- **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი კომისიის წევრების გადაწყვეტილებით**

1. ელენე ქორთუას გაეწიოს ერთჯერადი ფულადი მხარდაჭერა 1500 ლარის ოდენობით.
2. ლუკა კიტიას გაეწიოს ერთჯერადი ფულადი მხარდაჭერა 3000 ლარის ოდენობით.
3. გიორგი ხვიჩიას გაეწიოს ერთეჯერადი ფულადი მხარდაჭერა 3000 ლარის ოდენობით.
4. სანდრო მიქენაიას გაეწიოს ერთჯერადი ფულადი მხარდაჭერა 2000 ლარის ოდენობით.
5. ხატია ხვინგიას გაეწიოს ერთჯერადი ფულადი მხარდაჭერა (მგზავრობის უზრუნველსაყოფად) ინვოისის შესაბამისი თანხით მაქსიმუმ 2000 ლარით. (მეტი თანხის შემთხვევაში თვითონ დაამატებს).

კომისიის თავმჯდომარე: კონსტანტინე კაკავა

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ზამირა ღადუა

წევრები: კობა ჯიქია

გიგლა სულამანიძე

ზაზა გაბისონია

ლექსო თოდუა

ნანი მიქენაია

ფრიდონ თოდუა

მონიკა შამათავა

თამუნა ჯიქია

ნატალია პაპასკირი

ეკატერინე კიფაია

დავით შამათავა

ბელა ხუბუა

მდივანი:

13 .05.2021 წელი